ცნობის ფურცელი

№ 2172 პარასკევი 6 ივნისი 1896—1903 ლიტერატ.-პოლიტიკური გაზეთი № 2172

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველ სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვაკის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

კნეინა მარიამ სოლომონის ასული, კნეინა ანნა ზაქარიას ასული და თავადი პავლე გიორგის ძე ტუსიშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—შვილისა, მეორე—მეუღლისა და მესამე—ძმისა

თავად ტუსიშვილისას.

განსვენებულის გვამს სოფელ ახალქალაქიდან გაასვენებენ სოფელ ერთა წმინდაში ორშაბათს, 9 ივნისს, დილით 9 საათზე. (1—110—1).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალიაშენ

რქევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—88)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის ა. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ტ. მურლინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ა. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. ა. ბაბლუანიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. მელიქიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეთა 1—2 საათამდე.

ტრ. მ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ა. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი—თვალის სნეულ. ორშაბ. ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **მ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. [illegible]—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) **ტელეფონი № 274** (წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, ლილი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

შაბათს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, სამხედრო შტაბის სამხედრო საბჭოს სადგომში მოხდება

წლიური კრება

რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა

შემდეგის პროგრამით:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედების შესახებ 1902 წელს, 2) სარევიზიო კომისიის დანიშვნა, 3) ნამდვილ წევრთა არჩევანი, 4) ვ. ა. სოკოლოვის მოხსენება დიდ არარატზე ასვლის შესახებ 1900 წელს, ბუნდოვანის სურათებით.

კრება საჯაროა, ყველას უფასოდ შეუძლიან შესვლა. (3—უ.—2)

კბილის ექიმი

ივანე ბაქრის ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

გოლოვინის ქუჩა, 38. (წლ.

საზღვარ-გარედ

სერბია. რუსის ჟურნალისტი პროპერი ბალკანეთზე მოგზაურობის დროს ბელგრადშიაც იყო და თავის შთაბეჭდილებებს გვატყობინებს.

„ბელგრადიდან წამოსვლის წინა დღით შემთხვევა მომეცა მენახა ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი. თავდაჭერილად, მაგრამ ბრაზ-მორევით ლაპარაკობდნენ კონსტიტუციის უკანასკნელ გამოცვლაზე... მეფე ალექსანდრე დაიბადა და გაიზარდა სერბიაში და არა უცხოეთში, როგორც მილანი და მიხეილი. ამიტომ იგი ძვირფასი იყო ჩვენთვის და ბევრიც ვაპატიეთ. მაგრამ მეფე ცუდად არ უნდა ხმარობდეს ამ გრძნობას". აქ ერთმა სამხედრო სამსახურიდან გამოსულმა პირმა თვალები დააბრიალა და დაბლა სთქვა: „ჯერ კიდევ საკითხია, აპატიებენ თუ არა მეფეს კონსტიტუციის უკანასკნელ შეცვლას?".

გარდა ამისა, სერბიის ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა შეურაცხყოფილი იყო იმ გარემოებით, რომ დედოფალი დრაგა ტახტის მემკვიდრედ თავის ძმის გამოცხადებას ჰფიქრობდა და მეფეც ეთანხმებოდა.

„ნოვოსტი"-ს თანამშრომელი რ—ვი მისულა პეტერბურგში მცხოვრებ ერთ სერბთან და საუბარი გაუმართავს. სხვათა შორის, ხსენებულ სერბს უთქვამს:

„სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა, რომ სამეფოში სრული მშვიდობიანობა სუფევსო, სინამდვილის გამომხატველია, რადგან რაც მოხდა, ხალხის წამოქმედარია. ამითი იმის თქმა კი არ მინდა, რომ თვითონ ხალხი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ აფიცრების ერთი ჯგუფი შეიქმნა მთელ ხალხის სურვილის გამომხატველი. მართალია, ხალხს არ მიუნდვია ლაზარევიჩისათვის სისხლის დაღვრა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მეფეს ჯერ მისთვის თავის ნებით ეთქვა უარი ტახტზე. და სწორედ მეფის ასეთ გადაყენებას თანაუგრძნობდა მთელი სამეფო.

მომხდარ ამბების გასაგებად, უნდა შეისწავლოთ სერბიის ისტორია, განიცადოთ და გამოსცადოთ და საკუთარის სისხლით დასწეროთ იგი. თქვენ არ იცით სერბების მამულიშვილობა, მათი მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი. ბევრი ჰფიქრობს, რომ მთელი დრამა „დინასტიურ კომბინაციების" შედეგია და მთელი ამბავი იმით გათავდება, რომ ერთის დინასტიის მაგიერ მეორეს აიყვანებენ სერბიის ტახტზე. ასეთი შეხედულობა დიდი შეცდომაა. თქვენ იცნობდით მილანს... მილანი დემონიური აუღაგმავი, მაგრამ მაინც ძალა იყო. და ამ ძალას საკვირველი მომხიბლველი გავლენა ჰქონდა ჯარზე. ხალხს სძულდა მილანი, მაგრამ მისგან შექმნილი ჯარი მის მხარეზე იყო. ალექსანდრე ობრენოვიჩი ვერ დაიკვეხნიდა ჯარის სიმპატიას და ვერც ხალხის სიყვარული დაიმსახურა. თქვენ იცით, რამდენი სამინისტროები გამოსცვალა ალექსანდრემ თავის მეფობის დროს? თითქმის ორმოც-და ათამდე. ბოლოს და ბოლოს ჩვენი კონსტიტუცია თამაშობად გადაიქცა. ეს თამაში გათავდა 1901 წლის 6 აპრილის კონსტიტუციის მოსპობით, რამაც მთელი ქვეყანა განაცვიფრა. და, აი, უბედური მეფე უკანასკნელ საბედისწერო წვეთს ასხამს ავსებულ ფიალაში: აცხადებს თავის მემკვიდრედ პორუჩიკ ლუნევიჩს. გესმისთ, ვუშინდელი პორუჩიკი ხვალ სერბიის მეფედ უნდა გახდეს: სერბი ამაყია და პატივისცემით ეპყრობა ძვირად ნაყიდ ტახტს თავის ქვეყნისას".

ამავე საგანს ეხება ხსენებული პროპერი და თითქმის იმასვე იმეორებს, მაგრამ ჯერ სერბიის ჯარს ჰკიცხავს:

„სერბიის ჯარი ნამდვილი პრეტორიანების ჯარი გამხდარა! თავის აზრითა და ნებით ჩაიდინა ეს საშინელება, თუ შეთქმულ პოლიტიკოსების ჩაგონებით მოქმედებდა, არსებითი მხარე ჯარისკაცობისა გადალახულია და ჯარს აღარ ჰგავს: იგი გადაიქცა პოლიტიკურ მკვლელთა და რევოლიუციონერთა ბრბოდ.

სიმართლე თხოულობს ვთქვათ, რომ ჯარის ასეთ გარყვნას ხელი შეუწყო თვით ბედკრულმა ალექსანდრემ.

მეფე ალექსანდრემ მილანის შეგონებით ჯარი დაიხმარა და ისე ვიდამდე მოსპო რეგენტობა; არ დაიხია დამსახურებულ მხცოვან მამულისშვილის ივანე რისტიჩის დატუსაღების წინაშეც-კი. ჯარის კაცის ხიშტი მიაბჯინეს გულზე სახელმწიფო მოღვაწეს და ეს იყო სიმბოლო ძალმომრეობის გაბატონებისა კანონიერებაზე. რამდენისამე წლის შემდეგ, იმავ მილანის რჩევით, მეფე ალექსანდრემ ფაქტიურად თვისი უფლება ჯარს გადასცა, როცა მთავარსარდლად და ქვეყნის გამგედ მილანი დანიშნა. ჯარის საშუალებით მილანი ნამდვილი მტარვალი შეიქნა შვილის სამეფოსი: არც ხალხის წარმომადგენლობას, არც საარჩევნო უფლებას არავითარი ძალა და მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. ბოლოს მამის სიკვდილისა და დრაგას შერთვის შემდეგ ნამდვილი პრეტორიანული ხასიათი ჰქონდა კონსტიტუციის უკანასკნელ მოსპობას: პირველი მინისტრობა მისცა მილანის კლევრეტს გენერალ ცინცარ მარკოვიჩს და ნება მისცა მას არჩევნები ჯარის კაცის ხიშტის შიშის ქვეშ მოეხდინა...

ვაი სერბიას, თუ ახალი მეფე, მისი ეხლანდელი მმართველები, ინტელიგენცია ვერ გაიგებს, რომ ჯარის ხელ-ახალი აღზრდა უმთავრეს საგანგებო ზრუნვის საგანი უნდა იქნეს"...

◆ „ნოვოსტი" ჰკითხულობს, იცოდა თუ არა სხვებმა, გარდა შეთქმულების ვიწრო წრისა, განზრახული რევოლიუცია? პასუხისათვის რუსულ გაზეთს მიუმართავს იმ სერბიელ გაზეთებისათვის, რომელნიც საზღვარგარედ გამოდიან. გაზეთს მოჰყავს ამ გაზეთების ზოგი წერილი. გაზეთი „ზასტავა" სწერდა 20 მაისს, ე. ი. კატასტროფის რვა დღის წინად: „...ცინცარ-მარკოვიჩის სამინისტრომ მთელი წყება უკანონობისა ჩაიდინა. ამ გენერლის პირველ მინისტრობის დროს ოცზე მეტი სამარე გაიჭრა და ოცზე მეტი უბრალო მსხვერპლი დაიღუპა. სერბიის უდანაშაულო სისხლი დაიღვარა ბელგრადის ქუჩებზე და ლაქა მოსცხო ეხლანდელ მმართველობას. როგორც ძველ სერბიაში და მაკედონიაში ჰყავთ თავისი მტარვალები, ისე სერბიის ერსაც ჰყავს მთავრობა, რომელიც ზნეობრივად ჰკლავს ხალხს და ნდობას გვიკარგავს მის მომავლისადმი. სერბიის მდგომარეობის აღწერა შეუძლებელია. ხალხის ტანჯვა ცხადათ გვაგონებს იმ დროს, როცა ოსმალთა ცხენები სისხლის მორევში დასცურავდნენ. „ამ გენერლის" სამინისტრო წარბშეუხრელად სჩადის უკანონობას და სცდილობს, აიძულოს ხალხი ლეგალურ ოპოზიციიდან არა-ლეგალურზე გადავიდეს. ეს მთავრობა კი არ არის, არამედ ავაზაკთა ბრბო, რომელიც ფეხით სთელავს ხალხის უწმინდეს უფლებათ და ქვეყნის ყველა კანონებს... მაგრამ ნუ დაივიწყებენ მთავრობის ავაზაკები, რომ ჯერ კიდევ ბევრი შრომა დასჭირდებათ, სანამ თავისუფლებას საფლავს გაუთხრიდნენ და მოსპობდნენ. სერბიას ბევრი მწარე დღე გამოუცდია. ცინცარის დღესასწაულიც გაივლის"...

მეორე წერილში იგივე გაზეთი სწერს, სხვათა შორის: „...ცუდი რამ მზადდება სერბიაში, სერბიის ერი სასოწარკვეთილებას ეძლევა... ცინცარ-მარკოვიჩი რომ უფრო ჭკვიანი იყოს, იგი არ მოისურვებდა ასეთ სრულ გამარჯვებას თავის მომხრეებისას".

რუსულ გაზეთს ამ წერილებიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ, ალბად, დიდი წრე იცოდა მეთქმულობაო; მაგრამ მოყვანილი საბუთი არ კმარა: სადაც მტარვალი და გარყვნილი მთავრობაა, იქ ყოველ გაზეთს შეუძლია დასწეროს, რომ მთავრობა მოწადინებულია „არა—ლეგალური" მოქმედება გამოიწვიოს ხალხის მხრივ და ამ გვარად საკუთარ დაღუპვისაკენ მიისწრაფვისო...

ახალი ამბავი

◆ 4 ივნისს მოხდა წლიური კრება ტფილისის ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებისა. კრებამ განიხილა 1902 წლის ანგარიში. ცნობები ამ ანგარიშიდან უკვე დავბეჭდეთ, ამიტომ ეხლა ვიტყვით მხოლოდ, რომ საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია 10,932 მან. 47 კ. დახარჯულა—10,168 მან. 40 კ. მცირე კამათის შემდეგ ანგარიში კრებამ დაამტკიცა. დაამტკიცა აგრეთვე სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც შემოსავალი მოსალოდნელია 14149

მან. 91 კ., ხარჯიც ამდენივე. ორიოდე უმნიშვნელო საქმის განხილვის შემდეგ კრებამ აარჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. გამგეობის წევრებად: ლ. ა. სვეჩინისა, ვ. ა. კოზლოვსკი, ნ. ნ. ვესელოვზოროვი, იაკულოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად: ვ. გლინკო, ნ. ხუდადოვი და ა. ბ. ევანგულოვი.

◆ **კახეთიდან გვწერენ:** „კავკასიონის მთები ისევ ისეა თოვლით დაფენილი, როგორც არის ხოლმე თებერვლის დამლევს. ამიტომ გაზაფხულის ყოველი ავდარი სეტყვად იქცევა ხოლმე და კახეთის რომელისამე კუთხის წლიურ ნამუშავარს ანახევრებს, ხან სრულიად ანადგურებს. არა ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლება თითქმის ყოველი ღამე სეტყვის მოსვლა რომელსამე სოფელში. არავის ახსოვს, რომ ასე ხშირად სეტყვა მოსულიყოს ღამეობით. წინად ღამე სეტყვა ხუთ-ექვს წელიწადში ძლივს მომხდარა, ახლა-კი ხან კვირაში ორჯელ-სამჯერ მოდის ღამე. აგრეთვე ბუნების იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს თითქმის ყოველ დღიური ქუჩა-ქუხილი. უეჭველია, ამ არა ჩვეულებრივ მოვლენას აქვს რამე კავშირი როგორც წარსულ ზამთარს შილდაყვარელსა და ახლო მდებარე სოფლებში მომხდარ ხანგრძლივ მიწის-ძვრასთან, ისე საზოგადოდ, წარსულ ზამთრის ხშირ და ძლიერ მიწის-ძვრასთან სხვა ქვეყნებში.“

◆ 15 ივნისს მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის ა. ქ. სტევენის თავმჯდომარეობით პეტერბურგში კრება მოხდება **მეღვინე-მევენახეობის** შესახებ. ამ კრებაზე მიწვეულნი არიან წარმომადგენელნი ფინანსთა, გზათა და შინაგან სამინისტროებისა, საუფლისწულო უწყებისა, სასულიერო უწყებისა და იმ ადგილებისა, სადაც მევენახეობა-მეღვინეობას მისდევენ. რადგან ამ დარგს მეურნეობისას საპატიო ადგილი უჭირავს ტფილისის გუბერნიაში, გუშინ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აცნობა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ ურიგო არ იქნება თავად-აზნაურობამ ნებართვა აიღოს და თავისი წარმომადგენელიც იყოლიოს აღნიშნულ კრებაზე.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ **რკინის გზის მოსამსახურეთ** მცხეთის სადგურის მახლობლად მიეცეთ ადგილები აგარაკებისათვის.

◆ ეხლა ხან კავკავში სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ნაწილის უფროსის **კაპიტანის გისოცკის მკვლელის** შესახებ. მკვლელობა რვა კაცსა ჰბრალდებოდა. ეხლა სამხედრო სასამართლომ ყველანი გაამართლა და პატიმრობისაგან გაანთავისუფლა.

◆ მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოება ამ ზაფხულს **პრივატ-დოცენტს ხახანაშვილს გზავნის სვანეთში** ძველ ეკკლესიათა შესასწავლად და ასაწერად. ბ-ნმა ხახანაშვილმა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს ეკკლესიის აგებულება, წარწერანი, ძველი ნივთები, სამოსელი, გადაიღოს ფოტოგრაფიული სურათები და სხვა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ **ფოთში ხაზინის გაძარცვის ამბავი.** ამ საქმის გამო გამოძიება, როგორც „ნ. ო.“-ს ატყობინებენ, უკვე დაუმთავრებიათ. სამართალში მიცემულია 12 გურული გლეხი და თავ. მაჭუტაძე, რომელსაც დამნაშავეთა დამალვა ჰბრალდება. ოლქის სასამართლო საქმეს ამ ზაფხულს განიხილავს. დაბარებული იქნება 80 მოწმე.

◆ **ტფილისის საბჭოს** უკანასკნელი კრება ამ ზაფხულს მოხდება 16 ივნისს.

◆ 4 ივნისს, საღამოთი, **ტფილისში კოკისპირული წვიმა მოვიდა.** რამდენსამე წამში ქუჩები წყლით გაივსო. ბევრს წყალი სარდაფებსა და სახლებში შეუვარდა. წვიმას ცოტაოდენი სეტყვაც მოჰყვა.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა ქალაქის ერთ ქუჩას რუსთა **პოეტის ნეკრასოვის** სახელი ეწოდოს. გუშინ გამგეობა შეეკითხა გუბერნატორს, ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის წინაამდეგი ხომ არ იქნება იგი.

◆ **„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“** გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ანგარიში 1902 წლის მოქმედებისა დაურიგდა საზოგადოების აგენტებს. საზოგადოების წევრებს ამ ანგარიშის მიღება აგენტებისაგან შეუძლიანთ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის **დროებით თავმჯდომარედ** დაინიშნოს გამგეობის წევრი მ. ს. შესტაკოვი.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** სწავლა გაათავეს წელს პირველ ხარისხით შემდეგმა ქართველებმა: ვასილმ ხეიძემ, დავით ქარუმიძემ. მეორე ხარისხით: ალექსანდრე ბერიშვილმა, მიხეილ მანასელიძემ, გრიგოლ შველიძემ, იასონ ფანჯაკიძემ, გრიგოლ რაზმაძემ, იოსებ ხუციშვილმა, გიორგი შალიბაშვილმა, იოსებ ხადურმა და ვასილ იაშვილმა.

◆ გუშინ, 5 მაისს, ტფილისის **ვაჟთა მეორე გიმნაზიაში** დასრულდა გამოცდა უკანასკნელ კლასებისა. კურს-დამთავრებულთა შორის 15 ქართველია. იმათი გვარები: ბერიშვილი, ბურჯანაძე, ჯაფარიძე, ვაჩნაძე თად., ვაჩნაძე ირ., პაპავა, ფალიაშვილი, საბაშვილი, იშხნელი, ჯამასპიშვილი, ქუჩუკაშვილი, ჯავახიშვილი, ლომთათიძე, ხუნდაძე და სვიმონიშვილი.

◆ ტფილისის ვაჟთა **მესამე გიმნაზიის მე-8 კლასი** წელს 28 კაცმა გაათავა. 5 კაციც ექსტერნად იჭერდა ეგზამენს. ამათგან 20 სომეხია 6 რუსი, 3 ქართველი და 2 ებრაელი. მოგვყავს გვარები ქართველ ყმაწვილებისა: ჟურული ანტონი, ოთარიშვილი პეტრე, მექანარიშვილი ლევანი. ექსტერნად ეგზამენი დაიჭირა შალვა ნათაძემ და ილია ხირსელაშვილმა. ოქროს მედლები მიიღეს გ. გევორქოვმა და გ. მნაცაკოვმა, ხოლო ვერცხლისა: ალაბაზოვმა, ბირშერტმა, დემუროვმა, პისმენმა და სიატჩიანცმა.

◆ **სტამბის პატრონს** კ. ი. მარტიროსიანცს შუამდგომლობა აღუძრავს სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დააარსოს სტამბასთან **ბეჭდვითი საქმის სკოლა.** სწავლა სკოლაში ორის წლის ვადით იქმნება.

◆ **როგორც გვატყობინებენ, ამას წინად დუშეთის მაზრის სოფელ ყანჩალში უბედურება მომხდარა. ადგილობრივ მცხოვრების პატარა ქალები ნინა ხახიაშვილი (7 წლის) და ელისაბედი (4 წლისა) არაგვში ჩავარდნილან და დამხრჩვალან.**

◆ **გუშინ ტფილისის მე 9 ნაწილის ბოქაულმა აცნობა ქალაქის გამგეობას, 4 ივნისს წვიმამ არსენალის გორიდან იმდენი ქვა და ქვიშა ჩამოიტანა ნიკოლოზის ქუჩაზე, რომ გავლა შეუძლებელიაო. სთხოვს საშუალება რამ იხმარეთ ამ ქუჩების გასაწმენდადაო.**

◆ **სოლოლაკში არსებულ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის სადგომს იჯარის ვადა უკვე გაუთავდა. გამგეობის მონდობილობით თავ. ჩერქეზიშვილი მოლაპარაკებია სახლის პატრონებს ჯამბოვსა და ბარონესა ტიზენჰაუზენს, რომელნიც დასთანხმებულან სამის წლით კიდევ მიაქირავონ ქალაქს სახლი. გამგეობამ დაადგინა 2 წლით აიღოს სახლი.**

◆ **დღეიდან ტფილისის ქალაქის სარევიზიო კომისია შეუდგება ქალაქის ლომბარდის და დამგირავებელთ კასსის რევიზიას.**

◆ **თიანეთის მომრიგებელმა მოსამართლემ ნ. ბალკარშნიკოვმა შესასვენებლად სამის თვით სამსახურს თავი დაანება. იმის ნაცვლად დროებით ტფილისიდან გაიგზავნა თანაშემწე ტფილისის მეორე განყოფილების მოსამართლისა.**

◆ **ერწოს (თიანეთის მაზრა) ბოქაულად თავ. გ. ბარათაშვილის ნაცვლად დაინიშნა იოსელიანი.**

◆ მაისის განმავლობაში ტფილისის ქალაქის საყასბოში მიურეკიათ დასაკლავად 8745 სული მსხვილ-ფეხა საქონელი; აქედან გაუყიდნიათ დასაკლავად 5,610 სული. წვრილ ფეხა საქონელი მოურეკიათ 23,043 სული, გაუყიდნიათ 16.243 სული.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ „კავ.“-ს კორესპონდენტად ნამყოფის კ. ი. ნიკოლაძისა და ინჟ. ცეიტლინის საქმე გაირჩევა ქუთაისის ოლქის სასამართლოში დღეს, 6 ივნისს. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ცეიტლინი შეურაცხჰყოფას უჩივის ბ-ნ ნიკოლაძეს. ამ უკანასკნელს იცავს ნაფიცი ვექილი თავ. ფალავა.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის ინჟენერ-ელექტროტეხნიკოსს ბ-ნ ჩინნოის დაუმთავრებია პროექტი ქუთაისში სატელეფონო მოწყობილებისა. პროექტით ნავარაუდევია 200 აბონენტი.

◆ ქუთაისიდან გვწერენ: „სწორედ არა სასურველ სურათს წარმოადგენს ქალაქის სამკითხველო. მიდიხართ იქ ჟურნალ-გაზეთების საკითხავად, გინდათ, ცოტათ მაინც გაიგოთ ქვეყნის ავ-კარგი, მაგრამ რანაირად, როდესაც სამკითხველოში მკითხველი ბევრია და გაზეთი-კი ორი თუ სამი. ამასთან ყველამ ხომ რუსული კითხვა არ იცის! მე ჩემს თავზე ვამბობ. სოფლიდან გიახელით ქუთაისში. ჟურნალ-გაზეთების მიჩვეულმა, მივაშურე სამკითხველოს. შეველი შიგ ცოტა მორცხვობით. მივედი ერთ სტოლთან, ვერა ვნახე ქართული გაზეთი. მივედი მეორესთან, მესამესთან, მაგრამ ვერსად ვიშოვნე, თუმცა ორ მკითხველს ეჭირა ხელში ჯოხები, ზედ დახვეული გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და სხვა ქართული გაზეთები. ვიარე იქით-აქეთ, ვუცადე, მაგრამ ვერ ველირსე და ვერა.—გაზეთს ვილა ჩიოდა, ყველამ მე დამიწყო ცქერა, ჩემს მეტი არავინ იყო იქ ჩოხოსანი. ქართულ გაზეთის მოთხოვნილება მეტია საქართველოში და ოცდა ხუთი მანეთი რომ მეტი დახარჯონ და ერთის მაგიერ სამი და ოთხი ცალი დაიკვეთონ, ბევრი არაფერი დააკლდება ქალაქს“..

სტუდენტის ხმა *)

წავიკითხეთ ბ-ნ სიტყვას წერილი. ჩვენც გვინდა ორიოდე შენიშვნა გამოვთქვათ ამის შესახებ. ნუ დაგვემდურება საზოგადოება, თუ ჩვენ ცოტათი მაინც შევარყევთ იდილიურ წარმოდგენას სტუდენტობის შესახებ, ნუ გაგვიწყრებიან ამხანაგები—სტუდენტები, თუ შევეხებით ჩვენ ნაკლულევანებას და დიდს ნაკლულევანებასაც.

სრულ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია ის ცნობები, რომელნიც მოყვანილი ჰქონდა ბ-ნ სიტყვას „ცნობის ფურც.“-ში. არაფერი არ არის გადაჭარბებული. მე, რასაკვირველია, შემიძლიან იმ ფაქტებზე ვიქონიო მხოლოდ მსჯელობა, რასაც თვითონ ვხედავდი. დანარჩენ სტუდენტობას შევეხები იმდენად, რამდენადაც ამაზე წარმოდგენა მაქვს ჩემის მცირე დაკვირვების შემწეობით. ბ-ნ სიტყვას ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით: შეიძლება ასში ორი და სამი, ხუთიც მოიძებნოს მეცადინი კაცი, ეს არის კიდეც, მაგრამ „ფონი გასავალს ნახეო“. თუმცა დღეს ჩვენ ას სტუდენტში ვპოულობთ ხუთსა და მეტს მეცადინს, „გასავალს“ თითქმის ერთიც აღარ გვრჩება ხელში. ბევრ სტუდენტთან ვერა ჰნახავთ სახლში წიგნს; აქ თავის გამართლება არ შეიძლება სიღარიბით, მსურველს ყოველთვის შეუძლიან დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება. ათავებს ქართველი მოსწავლე გიმნაზიას და მიეშურება საუნივერსიტეტო ქალაქში, ახალი ცხოვრება იტაცებს, იგი გაშლილის გულით სუნთქავს ახალ ჰაერს. აქ გასაკვირველი არაფერია, საკვირველი ის არის, რომ როდესაც უკვე სცხოვრობს, როდესაც გიმნაზიის დისციპლინა უკვე დავიწყებასაა მიცემული, იგი განაგრძობს სიბარიტულ ცხოვრებას და ასეთ ცხოვრებიდან იღვიძებს მხოლოდ მაიში, რომ წინ წაიჩოჩოს და შემდეგ ხელს მიჰყოფს ძველ ცხოვრებას. ასე ემართება ბევრ ჩვენ ახალგაზდას.

ამ სახით მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება და ბოლოს ხელში გვრჩება დიპლომიანი ვაჟბატონი. რა უნდა მოგვცეს იმან? იმის უკან გაშლილია უნივერსიტეტის ცხოვრება—როგორც ბრწყინვალე ნადიმი, და აქაიქ ამ ნადიმის დროს მოსჩანს უსიამოვნო წერტილები—ეს გახლავთ დღეები ეგზამენების მეცადინეობისა. აი, ის მარტივი ფორმა ცხოვრებისა, რომელშიაც ჩაფლულნი ვართ ჩვენ, ქართველი სტუდენტები. მეცნიერება, რომელსაც ჩვენ ვითომდა თავი შევწირეთ, მხოლოდ იარაღი იყო ჩვენის სურვილის დასაკმაყოფილებლად—დიპლომი ხელში ჩავიგდოთ. 90°/o უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულ ახალგაზდობისა დაშორებულია თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობას. ისინი უნივერსიტეტიდან თითქმის ისეთივენი გამოდიან, როგორნიც შევიდნენ.

ჩვენში არავის არა გვაქვს სურვილი თვალყური ვადევნოთ თანამედროვე ცხოვრების მსვლელობას, თანამედროვე სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას; თანამედროვე ხელოვნება ჩვენთვის უცნობი და უხილავი რამ არის. მეცნიერებას ხომ თავი უნდა დავანებოთ. მსოფლიო ცხოვრების მსვლელობას აღარავინ აქცევს ყურადღებას. არც-კი გვაინტერესებს ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობა. წარმოიდგინეთ, ჩვენ, უცხო ქვეყანას გადმოხვეწილთ, არც გვეინტერესება, რა ხდება საქართველოში; ჟურნალ გაზეთობა პატარა ჯგუფისათვის არის მხოლოდ. დღეს ქართველი სტუდენტი სულაც არ სცდილობს კავშირი იქონიოს თავის მასწავლებლებთან, ჩვენ იმათ ქირივით გაურბივართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ შენ შვილს და ძმას, ან ნათესავს არც-კი უნახავს თავისი მასწავლებელი ეგზამენამდე. ქართველი სტუდენტი და სალექციო აუდიტორია როგორღაც ვერ ურიგდებიან ერმანეთს. დღეს ვერც-კი იცნობს ქართველ სტუდენტს რუსი პროფესორი. თუ იმათ შორის ჯერ კიდევ არიან ისეთნი, რომელნიც პატივს სცემენ ქართველ სტუდენტს, ეს ხდება მხოლოდ ტრადიციის ძალით. სტუდენტთა საზოგადო საქმეში ქართველი სტუდენტი ნაკლებ იღებს მონაწილეობას.

სტუდენტთა შორის იბადება ახალი საკითხები, ჩნდება ახალი საქმე, იმართება ორგანიზაციები—ქართველი სტუდენტი ჩამორჩენილია ყველა ამას. აგერ სამი წელიწადი ვარ უნივერსიტეტში და ჯერ ვერ მოვესწარი ისეთ დღეს, რომ ქართველი სტუდენტები შეერთებულიყვნენ სამეცნიერო ნიადაგზე. ბევრჯელ გამოითქვა სურვილი, შემდგარიყო ჯგუფები სამეცნიერო აზრით. გარწმუნებთ, სამის წლის განმავლობაში ათ-თხუთმეტ ჯერ მაინც დავესწარი ასეთ სურვილის პრაქტიკულად განხორციელებას, მაგრამ ცარიელ სურვილს ვერ გავშორებივართ. დღეს სტუდენტთა შორის არ არის არც ერთი ჯგუფი, არც ერთი წრე, სადაც წევრებს შეეძლოთ თავისუფლად გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შთაბეჭდილებანი, აზრები, შეხედულება. (მე, რასაკვირველია, სახეში მყავს მხოლოდ იმ ქალაქის სტუდენტები, სადაც თვითონ ვცხოვრობ). ყველამ ვიცით, ქართულს ისტორიას, ლიტერატურას სკოლაში არ გვასწავლიან, მაშასადამე, კერძოთ უნდა შევისწავლოთ იგი. ბევრჯერ დაგვბადებია სურვილი სამშობლო ისტორია-ლიტერატურის შესწავლისა, მაგრამ... შეცდომა არ იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენ სტუდენტობის 95°/o-ს წარმოდგენაც-კი არა აქვს ჩვენს ისტორიულ წარსულსა და ლიტერატურაზე...

ამის შედეგი რაა? უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში 200 კაცმა მაინც დაამთავრა უნივერსიტეტი. რამდენი გამოვიდა ამათ შორის საზოგადო, სამეცნიერო, სახელოვნო, სალიტერატურო ასპარეზზე? სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა.

ოდესელი სტუდენტი

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო დაგვიანდა.

რედ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ოფიციალურ გაზეთ „მაგილ. გუბერ. ვედომოსტ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცირკულიარი ადგილობრივ გუბერნატორისა: „პუბლიცისტურ მოღვაწეობით ცნობილი, პატრიოტულ მიმართულებით განთქმული თავადი მეშჩერსკი 1 მაისიდან შეუდგა ყოველ თვიურ ჟურნალის „Друж. Рѣчи“-ს გამოცემას. გაზეთი წელიწადში ერთ მანეთადა ღირს. გლეხებს შეუძლიანთ სამ თვეში ერთხელ ხუთ-ხუთი შაური შეიტანონ. რედაქცია პეტერბურგშია. ვთხოვ ერობის უფროსებს, განკარგულება მოახდინონ თითო თემისთვის (ვოლოსტისთვის) თვითო ჟურნალის გამოსაწერად და ამას გარდა ხელის მოწერაც გამართონ“.

◆ როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია მეტი ყურადღება მიაქციოს სასოფლო სკოლების მასწავლებელ ქალებს. სამინისტრომ უნდა საუკეთესოდ მოამზადოს ეს მასწავლებელნი და ამას გარდა გააუმჯობესოს იმათი მდგომარეობა.

◆ პეტერბურგში არსებულ სახალხო განათლების კომისიას შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე. კომისია თხოულობს, რომ კერძო კაცთა მიერ დაარსებულ საქალაქო 4 კლასიან სკოლის მოსწავლეებს ისეთივე უფლებანი

ივერიელი

მიენიჭოთ, როგორიცა აქვთ სამინისტროს ოთხ-კლასიან სკოლების მოსწავლეებს.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ივნისს საროვის უდაბნოში, სადაც სცხოვრობდა მეუდაბნოე სერაფიმე, ამ მეუდაბნოეს წმიდანად გამოცხადება მოხდება. ამ დროსთვის დიდ ძალი ხალხი მიდის თურმე უდაბნოში. ნიჟეგოროდის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობებით, თვით დღესასწაულების დროს უდაბნოს 100,000 კაცამდე მიაწყდება.

◆ როგორც ადგილობრივი ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, ქალ. კავკავში ოლქის საპყრობილეში კატორგაში გასაგზავნ ტუსაღებს ჩხუბი მოუხდენიათ. საქმე ასე ყოფილა. საპყრობილეს ეზოში ორის კამერიდან ტუსაღები გაუშვიათ პირის დასაბანად; ტუსაღებს ერთმანეთში დიდი ჩხუბი მოსვლიათ. მოჩხუბართა დასამშვიდებლად უფროს ზედამხედველს ურსოვს ჯარის-კაცები მიუწვევია. ჯარის-კაცების უფროსს უნტერ-ოფიცერ ციბასს კიდევ 18 ჯარის-კაცი მიუშველებია სხვა რაზმიდან. ტუსაღების გაშველების დროს, ჯარის-კაცებს ორი ტუსაღი მსუბუქად დაუშავებიათ. ზედდატანებაზე საპყრობილის ზემო-სართულიდან ტუსაღები გამოცვივნულან და თავიანთ ამხანაგებს მიშველებიან. ამ ტუსაღების შესაყენებლად ეფრეიტორი ზვიაგინი გაეშურა სამის ჯარის კაცით. ტუსაღები ზედა კორიდორში შედგნენ. ჯარის-კაცებმა უბრძანეს, დაიშალეინითო. ტუსაღები ჯარის-კაცებს ეცნენ და ერთს ჯარის კაცს ხელიდან თოფიც წაართვეს. უფროს ზედამხედველ ურსოვის ბრძანებით ჯარის-კაცები იარაღით დაერივნენ ტუსაღებს. ორმა ჯარის-კაცმა ტუსაღებს ოთხჯერ ესროლეს და ხიშტებიც დაჰკრეს. 4 ტუსაღი იქვე მოჰკლეს და 7 დასჭრეს.

პრესსა

სულ ორმოცი წელიწადია რაღაც; რაც იაპონია ევროპის კულტურის გზას დაადგა და ამ ხნის განმავლობაში ისე წინ წავიდა, რომ თითქმის გვერდში ამოუდგა ევროპის განათლებულ სახელმწიფოებს. სხვათა შორის, საოცრად გაძლიერდა იაპონიაში პრესსა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ გაზეთს იაპონიაში ყველა ჰკითხულობს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მცხოვრები, როგორც მუშა, ისე უკანასკნელი გლეხი. გაზეთის გავრცელებას იაპონიაში ხელს უწყობს სიიაფე. გაზეთი იქ ყველასათვის ხელმისაწვდომია, ამიტომ ყველა ყიდულობს ან იწერს. აი, რას გადმოგვცემს ერთი გაზეთი.

ეხლა-ხან სამი წელიწადი შეუსრულდა იაპონურ გაზეთს „ნიროკუ“-ს. გაზეთი სატახტო ქალაქში გამოდის. ეს გაზეთი თვეში 30 კაპეიკად ჰღირს, ე. ი. ნომერი კაპეიკი მოდის. არ იფიქროთ, გაზეთი უბრალო ქუჩის ფურცელი იყოს. გაზეთს მტკიცე, გარკვეული მიმართულება აქვს, დიდი ფორმატისაა და აუარებელ მასალას აწვდის მკითხველებს. გაზეთი არც ერთ თანამედროვე საკითხს არ უშვებს განუხილველად და გამოურკვევლად. დიდ ადგილს უთმობს ეს გაზეთი კაზმულ-ლიტერატურასაც. რა თქმა უნდა, ასეთს გაზეთს დიდი გავლენა აქვს მკითხველზე.

მკითხველს უთუოდ ეცოდინება, რომ იაპონიაში სიტყვის სრული თავისუფლებაა.

⁂

ვინ არ იცის, რამდენ შრომასა და ტანჯვა-ვაებას იტანენ სახელოსნოებისა და სხვა-და-სხვა დაწესებულების შეგირდები. ბევრი ამათგანი 14, 15 და 16 საათს მუშაობს დღე-ღამეში. მაგრამ ამას გარდა სამწუხარო ის არის, რომ სხვა-და-სხვა „ხაზეინები“ მეტად სასტიკად და უდიერად ეპყრობიან ამ ბავშვებს. ცემა და ტყეპა ჩვეულებრივი ხვედრია შეგირდებისა. „რუს. სლ.“-ს აზრით, კანონ-მდებლობამ უსათუოდ უნდა გააწესრიგოს შეგირდთა მუშაობის პირობანი.

განსაკუთრებულ სასტიკ პირობებში იმყოფებიან წვრილ დაწესებულებათა შეგირდები და მოსამსახურე ბიჭები. აიღეთ, მაგალითად, ბაყლისა და სხვა ამ გვარ დუქნების ბიჭები. სძინავთ ამათ სადაც მოხვდებათ, უფრო ხშირად სარდაფის ჭუჭყიან და ბინძურ კუნჭულში; ჭამა იმათთვის არ არის, სმა და ტანისამოსი. რას არ ითმენენ ეს საცოდავნი: ცემა-ტყეპას, შიმშილს, წყურვილს, სიცივეს. ასეთ დუქნებში ვაჭრობა იწყება დილის 6—7 საათიდან და თავდება საღამოს 11 საათზე. ამ რიგად ბავშვი 15—16 საათს მუშაობს.

წერილი თელავიდან

აქტი წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში

თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სწავლა მაისის ბოლო რიცხვებში გათავდა, ხოლო აქტი გარდაიხადეს 1 ივნისს. ამ დღეს სასწავლებლის ფართო დარბაზში თელავის საზოგადოებამ ბლომად მოიყარა თავი: იყვნენ როგორც გამგეობის თავმჯდომარე, ისე წევრნი და თელავის საპატიო პირნი, აგრეთვე მოსწავლეთა მშობლები და სხვა საზოგადოება.

აქტი დაიწყო პარაკლისით. შემდეგ მოსწავლეთ წაიკითხეს სხვა-და-სხვა ლექსები, დაუკრეს როიალზე, ხოლო მომღერალთა გუნდმა შეასრულა სიმღერები. სხვათა შორის, ქართულადაც წაიკითხეს სამი ლექსი: მათიკაშვილისამ აკაკის ლექსი „სიზმარი“, ყაზახაშვილისამ „ობოლი“ და ს. გონიაშვილისამ—„საფლავი მეფის ირაკლისა“.

მერე წაიკითხეს სია იმ მოსწავლეებისა, რომელნიც გადაყვანილ იქმნენ შემდეგ კლასებში და ბოლოს ატესტატები დაურიგეს იმათ, ვინც წელს სწავლა გაათავა. გაათავა სულ 17 ქალმა: ამათგან 1 რუსია, 6 სომეხი და 10 ქართველი: თ. ახმეტელაშვილი, მ. ჯაჩნაძე, ნ. ჯანდიერი, ს. გონიაშვილი, ალ. მამაცაშვილი, ნ. მონადირაშვილი, ს. მეტრეველი, თ. ხატიაშვილი, მ. ცისკარიშვილი და ან. წინამძღვრიშვილისა. პირველმა გაათავა და პირველი ხარისხის საჩუქარი მიიღო სოფიო გონიაშვილმა, ხოლო ქების ფურცელი: ნ. ჯანდიერმა, მ. ჯაჩნაძემ და თს. მათიკაშვილმა. ახლად სწავლა დამთავრებულნი სადამთო სასწავლებლის უფროსთან იყვნენ, ხოლო იქიდან 10 საათზე კლუბში წაიყვანეს საცეკვაო საღამოზე.

დიმიტრაშვილი.

წერილი სამტრედიიდან

გუბერნატორის ჩამოსვლა.—აბრეშუმის მოუსავლობა.—ქარგლებისა და შეგირდების გაჭირვება.—როდის ველირსებით საკვირაო სკოლას?

24 მაისს აქ მოვიდნენ ქუთაისის გუბერნატორი, მაზრის უფროსი ბ-ნი დადეშქელიანი და სხვანი. სადგურზე მიეგებნენ ადგილობრივი ბოქაულები და დაბის დეპუტატები. ბ-ნ სმაგინს დეპუტატმა ქართველიშვილმა გაახსენა წარსულ წლის აქაურ მცხოვრებთა მიერ დადგენილი განაჩენი 4 კლასიან საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ და სთხოვა დახმარება იმის განხორციელებლად. სადგურიდან წავიდნენ ახლად აგებულ სატუსაღოს დასათვალიერებლად. შემდეგ დაათვალიერეს სასამართლო, 2 კლასიანი სკოლა და ილიინის ძმის ამოსახვევი ქარხანა, სადაც 200-მდე მცირე წლოვანი და სრულ-წლოვანი ქალი მუშაობდა, შემდეგ წავიდნენ ს. კულაშში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა ყრილობაც მოხდა. ბ-ნმა სმაგინმა რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა. ამავე ყრილობაზე გუბერნატორმა გადააყენა ადგილობრივი მამასახლისი და იმის ადგილზე დანიშნა სხვა, რომელსაც ჯამაგირად წელიწადში 450 მან. მიეცემა.

ამას წინადაც გწერდით, რომ წელს, წინა წლებთან შედარებით, ბევრად ნაკლები აბრეშუმის თესლი შემოვიდა კავკასიაში. შესაძლებელია, ამ მცირე აბრეშუმის თესლის ერთი ნაწილი სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო გაფუჭდეს კიდეც და მაშინ წელს ქვემო-იმერეთში პარკი მეტად მცირე იქმნება. საშიშროა, რომ აბრეშუმის მომწევლებმა თავიანთი ნაწარმოები ნიორ-ნაქურჩალის ფასად მაინც არ დაჰკარგონ ჩარჩ-ვაჭრების წყალობით. 30 მაისიდან პარკმა ცოტ-ცოტა შემოსვლა იწყო. ფუთი ნედლი პარკის ფასი, 16 მანეთიდან დაიწყო, რაც ჯერ არ ყოფილა.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ აქაურ ხელოსნებისა და ვაჭრების ქარგლები, ნოქრები და შეგირდები მეტის-მეტ შრომაში არიან და საქმის დღეს გარდა იმათ კვირა-უქმეობითაც დილის 6 საათიდან ღამის 10—11 საათამდის ამუშავებენ. ეხლა განუზრახავთ აქაურ ქარგლებსა და ნოქრებს, აგრეთვე ორითვე პატრონსაც,—სთხოვონ, რომ კვირა-უქმეობით ვაჭრობა მოისპოს დილის 9 საათიდან შუადღემდის და ნაშუადღევის 3 საათიდან ორშაბათ დილამდის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაბის ბოქაული და დეპუტატები დაეხმარებიან ქარგლებსა და ნოქრებს.

3 თვეზე მეტი იქნება, რაც საკვირაო სკოლის დაარსების ნებართვა მიიღო აქაურ 2 კლასიან სამინისტრო სკოლის ზედამხედველმა, მაგრამ საკვირაო სკოლა ჯერაც არსადა სჩანს. ვერ გაგვიგია, რა არის ამისი მიზეზი. სკოლა უნდა გაეხსნათ და ეკურთხებინათ 25 მაისს, მაგრამ რადგან ადგილობრივ მღვდელს შემთხვევამ ნება არ მისცა, სკოლის კურთხევა გადაიდო 1 ივნისისათვის. 1 ივნისს, კვირას, მოიწვიეს ჩაწერილნი მოწაფენი. ჩაწერილი იყო 75 მოწაფე, გამოცხადდა 28. მაგრამ კურთხევა და გახსნა „სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო“ არც ამ დღეს მოხდა და სკოლის კურთხევა და გახსნა გადაიდო ენკენისთვისათვის...

24 მაისს, ღამის $10^{1}/_{2}$ საათზე, სადგურიდან რამდენისამე საჟენის მანძილზე ზევიდან მომავალი საქონლისა და სამანევროთ გასული მატარებლები დაეჯახნენ ერთმანეთს. დაიმტვრა 8 ვაგონი და დაზიანდა ორივე ორთქლ-მავალი. ადამიანი არავინ დაშავებულა.

იმ კომისიამ, რომელსაც დაბის უკანასკნელ 10 წლის შემოსავალ-გასავლის გამორკვევა აქვს მინდობილი, 10 მაისს დაამთავრა მუშაობა.

სანდრო

წერილი კახეთიდან

ყველას ეცოდინება, რომ კახელის, ვინც უნდა იყოს იგი, უმთავრეს ცხოვრების სახსარს მევენახეობა შეადგენს. მას ანდომებს მომეტებულ დროს და მუშაობას და მითივე იმედოვნებს თუ სულ არა, ოჯახის უმრავლეს მოთხოვნილებას და ხარჯს მაინც. მისი ბედ-იღბალი და ოჯახის კეთილ-დღეობა დიდის მოსავალზეა დამოკიდებული, რომელსაც ბევრჯერ უნახევრებს ან ზოგჯერ უსპობს სტიქიონის რომელიმე ძალა. მაისმა ბევრი მემამულე დაალონა. ბუნების საზოგადოდ მძლავრი და მაზარალებელი მოვლენა გაზაფხულზე და უფრო-კი მაისში იჩენს თავს. ამისათვის მემამულენი მაისს უფრო ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან სეტყვა ხშირად იცის და უფრო მეტი ზარალი მოაქვს.

გასულ მაისს რამდენიც დრუბლი აიმღვრებოდა, უეჭველად თან უნდა მოჰყოლოდა სეტყვა. ჯერ იყო 10-ში დაისეტყვა სოფ. რუისპირი და არტოზანის ნაწილი ისე, რომ არამც თუ მოსავლის ვეღარ დაინახავენ პატრონნი, არამედ ვაზის რქა საგასოდაც გაფუჭდა. ამავე დროს დაისეტყვა ვარდისუბანი და იყალთო, მხოლოდ ისე ძლიერად-კი არა. 14 მაისს ქვემო მხარეს მოვიდა დიდი ნიაღვარი და, რასაკვირველია, სეტყვაც თან მოჰყვა. დაისეტყვა საგრძნობლად სოფ. კარდანახი, ვაჩნაძიანი და აკურა სოფლად—თავში, მაგრამ მაინც დიდი ზარალი ვერ მოიტანა, რადგან სოფლის ბოლო გადარჩა, სადაც მომეტებულ ნაწილად ვენახ ნახნავებია. 14-მავე სეტყვა მსუბუქად მოჰხვდა სოფ. კურდღელაურს, მხოლოდ მეორე დღეს ისევ მოუბრუნდა უფრო ძლიერად და რაც წინა დღეს დააკლო, მაშინ შეუსრულა. 15 მაისს, საღამოთი კიდევ აირია ცა და დრუბლი წამოვიდა ზემო მხრიდან და რომელ სოფელზედაც-კი გადმოიარა, უდაოდ არ გაუშვა, ამ დღეს სეტყვა მოვიდა სოფ. ზემო ხოდაშნისა, ქისტაურისა და აწყურის ნაწილებში; ინახულა სეტყვამ აგრეთვე კონდოლი, კისისხევი და წინანდლის მიადგა კარზე. 27-ს კიდევ ბუდბუდა და შაქაურის ბოლო ნასომხრისკენ დაისეტყვა. რასაკვირველია, სეტყვა ყოველგან ერთგვარი არ იქნებოდა: ზოგგან ძლიერი იყო, ისე რომ ½—¼ მოსავლისას გააფუჭებდა და ზოგგან-კი მსუბუქი. საერთოდ გამოღმა მხარეს თითქმის ისეთი სოფელი არ დარჩომილა, რომ ამ გაზაფხულზე კოხი არ ეგემოს, მხოლოდ გაღმა მხარესაც, ამბობენ, რამდენსამე სოფელს ეწვია ეს გლეხ-კაცის დამღუპავი სტუმარიო.

სეტყვის გარდა არც ქარმა დააყენა ხეირი. ჯერ 2 მაისს ამოვარდნილმა ქარმა ნორჩი ტოტი სულ მიამტვრ-მოამტვრია, ნამეტნავად შეუყელავი, მერე 27-ში ამოვარდა საშინელი ქუდიანი ქარი, რომ ჯერ თელავში ხეები დაამტვრია და სახლის სახურავებიდან კრამიტი გადმოყარა და, რასაკვირველია, არც ვენახებს დააყენა ხეირი. კიდევ კარგი, მალე ჩადგა; სულ 3—4 საათი ჰქროდა.

იქნება მკითხველმა იკითხოს, თუ სეტყვა ასე თავისუფლად დათარეშობს, მაშ რაღათ უნდათ ზარბაზნებით? ჯერ ერთი, მორტირები ყველა (გამოღმა მხარეს) სოფელში არ არის. მარტო სოფ. წინანდალსა (საუფლისწულო მამულში), კისისხევს და რუისპირში სდგას და თუ თავის დროზე სროლა დაიწყეს, უეჭველად ნაყოფს მოიტანს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ თუ მორტირები შეიძინეს, ახლა წამალი აღარა აქვთ. ს. რუისპირი რომ დაისეტყვა, ჯერ ერთი გვიან უსროლიათ და მეორე, როგორც გადმოგვცეს, მალე წამალი გამოელიათ და თავი მიანებეს.

კახეთში დარწმუნდნენ, რომ ზარბაზნების სარგებლობა მოაქვს და სანდო თვალით დაუწყეს ყურება. ეხლა ბევრ სოფელშია ლაპარაკი ამის შეძენისა, ზოგმა ხომ უკვე გადასწყვიტა და შეუდგა კიდეც საქმეს. მაგ. ზემო მხრის სოფლებმა, სადაც სეტყვის ბუდეა, ზემო-ხოდაშნის, აწყურის, ოჯიოს, ხორხლის, კოღოთის და ალავერდის მცხოვრებთ ბ-ნ გ. კახიძის ინიციატივით გადაუწყვეტიათ 25 მორტირის შეძენა. შეუდგომიან კიდეც ამ საქმის განხორციელებას. ამ სოფლებში თავად-აზნაურთა გარდა გლეხნიც იღებენ მონაწილეობას იმასდა მიხედვით, ვის რა სივრცის ვენახი აქვს. აგრეთვე სოფელ კურდღელაურის მემამულეებს თავად ვახვახიშვილებს და რუსი-ურჩხიაშვილებს გადაუწყვეტიათ მორტირების შეძენა, მხოლოდ ამ სოფელში გლეხთ ხარჯის გაღებაზე უარი განუცხადებიათ.

ნომერი

დაბა-სოფლები

სოფ. მეჯვრისხევი (ქართლი). ამას წინად გწერდით ადგილობრივ სამკითხველოს შესახებ. მე არავითარი სურვილი არა მქონია და არცა მაქვს ვეკამათო მ. ნ. სამხარაძეს იმის შესახებ, თუ რად იყო იგი და არა სხვა ვინმე არჩეული სამკითხველოს გამგედ. აქ საკამათოც არა არის-რა. მე მხოლოდ ლაპარაკი ავძარი იმაზე, თუ რა მიზეზი იყო სამკითხველოს მოსპობისა, გამოვთქვი სურვილი საქმის ვითარებისა და ანგარიშის გამოქვეყნებისა, ვისგანაც აქამდინაც ჯერ იყო, და ბოლოს გაკვირვება ამა უკანასკნელის გარემოების დაგვიანებისა. აზრი მ. სამხარაძისა, ვითომც ვამტყუნებდეთ იმას სამკითხველოს მოსპობისთვის, აჩქარებული და ჯერ-ჯერობით ნაადრევი. ნაადრევი მეთქი, ვამბობ, რადგან ანგარიში სამკითხველოსი არა გვქონია (ჩვენი ჩივილიც ეს იყო) და არც ეხლა გვაქვს. ან რა საშიში იყო და ან იქნება ჩვენ მიერ ბრალდებათა გამოცხადება, რომელსაც ჭეშმარიტი ანგარიში (თუ ვეღირსეთ) მიუზღავს უკვდავს უკვდავებას და მოკვდავს—ხრწნილებას.

ჩვენ კვლავ ჩვენსას ვამბობთ. მ. სამხარაძე სავსებით არ გვისრულებს თხოვნას, არ აკმაყოფილებს საზოგადოებას დაწვრილებით ანგარიშის გამოცხადებით. არ გვამცნობს იმას, თუ მის მიერ დასახელებული და შეკრებილი 25 მანეთი რომელ წყაროდან შედგა, ან გარდა საწევრო შემოსავლის ფულისა სხვა კერძო ნაკადული ხომ არა ყოფილა-რა გამოყენებული საზოგადო „ჯამის“ შესავსებლად. არ გვამცნობს დასახელებით, რომელ გაზეთსა თუ ჟურნალში რამდენი დაეხარჯა. მარტო მშრალი „ჯამი“, რასაც ჩვენ მ. სამხარაძის ანგარიშში მიგვაჩნია (2133) ციფრითაც ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების ცნობის მოყვარეობას. ვიმეორებთ, წესი და რიგი მოითხოვს დაწვრილებით გამოცხადდეს თვითო მანეთიც-კი საზოგადოებისაგან შემოსულისა და მ. სამხარაძის მიერ დახარჯულის ფულისა.

სტუმარი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-2162 ნომერში მოთავსებულია აბოვიანცის ომნიბუსების მმართველის ბ-ნ შარბათოვის წერილი ჩემ კორესპონდენციის—ფოსტის ყოველ დღე მიღების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, მოვიხსენიე ომნიბუსზე ფასის აწევა. ბ-ნი შარბათოვი სწერს: „არ ვიცი, საიდან გაიგო ბ-ნმა დიმიტრაშვილმა, რომ ვითომ ჩვენ მგზავრს თელავიდან ტფილისამდის 4 მან. და 50 კ. ვახდევინებდეთ, როდესაც ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია მომატება და არც არავისთვის გადაგვიხდევინებია 4 მ. და ათი შაური“-ო. ჯერ ფოსტას ყოველ დღე მიმოსვლა არც-კი დაეწყო, როცა გადმომცეს, რომ ამას იქით ფოსტას ყოველ დღე მივიღებთ ომნიბუსზე და თანაც დაუმატეს, სამაგიეროდ ბილეთის ფასი მოუმატეს 50 კაპეიკიო. ამას ისე კერძოდ-კი არ მოვკარი ყური, როგორც ბ-ნ შარბათოვსა ჰგონია, არამედ თვითონ გავიგე ისეთ სანდრო პირთაგან, როგორც არიან ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი მოხელენი, რომელთაც ნამდვილად უნდა სცოდნოდათ ყოველივე ამ საქმის ვითარება. ესეც რომ არ იყოს, თვით აბოვიანცის (ბილეთის საყიდ) კანტორაში კედელზე ჩამოკიდულია წესები (правила), სადაც გარკვევითა სჩანს ნიხრი „თელავ-ტფილისის შუა მიმოსვლის ფასი—4 მ. და 50 კ.“. ეს წესები კერძოდ-კი არ არის დაწერილი, არამედ დაბეჭდილია და ხელმოწერილი სხვა მოხელეთა შორის ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგანაც. ნუ თუ ამის შემდეგ არ შემეძლო დამეჯერებინა იმათი სიტყვა და ეს ნიხრი!?

რაც შეეხება ბ-ნ შარბათოვის სიტყვებს: „ვითომც ვახდევინებდეთ“ და „არც გადაგვიხდევინებია“-ო ამაზე ვუპასუხებ, რომ ჩემ კორესპონდენცია-

ში ასეთი სიტყვები არ არის ნახსენები. მხოლოდ როგორც გადმოგვცეს ფასის მომატება [illegible] რშიაც დავინახეთ, ისე დავწერეთ და შემდეგ-კი, როგორც გამოირკვა, საქმით არ განუხორციელებიათ იგი.

დიმიტრაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივნისი.

პეტერბურგი. ნევსკი პროსპექტზე გაზეთ „ზნამია“-ს რედაქტორს კრუშევანს მოკვლა მოუნდომეს. დამნაშავე კიევის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი ებრაელი პინქოს სრულისძე დაშევსკი აღმოჩნდა. კრუშევანს უკანიდან ფინური დანა დაჰკრა, პერანგის გახამებული საყელო გაუჭრა და დანა კისერში ჩასცა. დამნაშავე თვითონ კრუშევანმა და დამსწრე ხალხმა დაიჭირეს. ჭრილობა მძიმე არ არის.

ტამბოვი. ივნისის 28 მოელიან მიტროპოლიტს ანტონის, რომელიც წირვას გადაიხდის და 1 ივლისს ყოვლად სამღვდელო ინოკენტისთან ერთად საროვს წავლენ წმ. სერაფიმეს ნაწილების იმ ლუსკუმში ჩასასვენებლად, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის ხარჯითაა დამზადებული.

რომი. გაზეთები იუწყებიან, რომ ახალ კაბინეტის შედგენა იკისრა ცანარდელიმ. რამდენსამე ახალს თუ მოიწვევენ მინისტრებად.

ბელგრადი. დედოფალმა ნატალიამ ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩს ბელგრადში დუმბას სთხოვა, სერბიის მთავრობისაგან ნება გამომიტანეთ მეფე ალექსანდრეს გვამი გამოვიტანოო—ტყუილია.

გროდნო. „გუბერნსკი ვედომოსტ“-ში დაბეჭდილია: „რადგან უსახელო წერილები ბევრი მოდის, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი საყოველთაოდ აცხადებს, რომ უსახელო წერილებს, რომელნიც თვითონ ამათ დამწერს არცხვენს, დავხევთ“.

კონსტანტინეპოლი. პორტამ აუწყა რუსეთსა და ავსტრო-ჰუნგრეთს, რომ უსკიუბის ვილაეტის კრატოვსკის ოლქში იმის საბუთები აღმოაჩინეს, რომ კომიტეტების მიერ ხმარებული დინამიტი ბოლგარიიდანაა შემოტანილი.

სოფია. ბოლგარიის წარმომადგენელმა ბეჯითად მოსთხოვა პორტას, ადრიანოპოლის ვილაეტში ბოლგარელთა დევნა ნუღარ იქმნებაო.

იტყობინებიან, მალეშოვის ადგილებში ბოლგარელთ კიდევ ჰქონიათ შეტაკება. ორსავე მხარეს ასამდე კაცი მოუკლავთ. მეამბოხეთა მეთაური მაქსიმე მოუკლავთ.

ჟენევა. დამტკიცდა, რომ სერბიის სკუპშჩინამ (პარლამენტმა) დაადგინა რევოლიუციის მონაწილენი არ დაისაჯონო.

მეფე პეტრე იმ აზრისაა, არ ჩაერიოს იმ ამბების კვლევაში, რაც იმის არჩევას მოსდევდა.

პეტერბურგი. 4 ივნისს ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაასაფლავეს სტატს-სეკრეტარი დურნოვო. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი.

5 ივნისი.

პეტერბურგი. მთავრობის განცხადება: „ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ბელგრადში მეფე მოჰკლეს, მაგრამ ეს ამბავი საიმპერატორო მთავრობას ოფიციალურად მიღებულ წესისამებრ ვერ ეუწყა, რადგან სერბიაში კანონიერი მთავრობა აღარ იყო. რუსეთი მტკიცედ ადგია იმ გზას, რომ არ ჩაერიოს ხოლმე ბალკანეთის სახელმწიფოების შინაურ საქმეში, ამავე დროს რუსეთის მთავრობამ შეუძლებლად სცნო საქმის დაჭერა იმასთან, რომელთაც ძალმომრეობით მართვა გამგეობა ხელთ იგდეს, ამიტომ იგი ელოდა უწესოების დაშოშმინებას, რომ აშკარად გამოერკვია თავისი აზრი სერბიაში მომხდარ საქმეების შესახებ. 2 ივნისს მოხდა საერო კრებისა და სენატის საგანგებო კრება, რომელმაც აღადგინა კანონიერი წყობილება სახელმწიფოში და ერთ-ხმად აარჩია მეფედ თავადი პეტრე ყარაგიორგიევიჩი. იმანაც შეიწყნარა ხალხის წარმომადგენელთა შუამდგომლობა და თანხმობა განაცხადა პეტრე I-ის სახელით სერბიის ტახტზე ასვლისა. არჩევნებისთანავე თავადმა დეპეშით მიჰმართა ხელმწიფე იმპერატორს და იშუამდგომლა, რომ იგი სერბიის მეფედ იცნოს, რაზედაც გაიგზავნა დეპეშით უმაღლესი პასუხი, რომლითაც შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. საიმპერატორო მთავრობა ეგებება ახალმეფის სახელოვან დინასტიის შთამომავლის არჩევას და უსურვებს ერთ-მორწმუნე სერბიის მეთაურს სრულ წარმატებას ყოველ კეთილ საქმეში. მაგრამ ამასთანავე საიმპერატორო მთავრობა დარწმუნებულია, რომ მეფე პეტრე შესძლებს სამართლიანობისა და ხასიათის სიმტკიცის გამოჩენას, ამიტომ უპირველეს ყოვლისა შესაფერ ღონისძიებას იხმარს საზიზღარ ბოროტ-მოქმედების გამოსაკვლევად და სასტიკ სასჯელს დაუნიშნავს ფიცის გამტეხთ, რომელთაც მეფის მოკვლით სამარცხვინო ჩირქი მოიცხეს. ამ საზიზღარ მკვლელობის პასუხის გება, სარაკვირველია, მთელს სერბიის ხალხსა და ჯარს არ მოეთხოვება, მაგრამ სერბიის შინაურ მშვიდობიანობისათვის საშიში იქნება დაუსჯელად დარჩეს მხედრობის მიერ ძალ-მომრეობა. ამ გვარი ყურის მიგდება უსათუოდ არა სასურველ გავლენას იქონიებს სხვა სახელმწიფოთა და სერბიის ურთიერთობაზე და ამით თვალ-საჩინო დაბრკოლება გადაელობება პეტრე I-ის მეფობის დასაწყისსავე. ერთმორწმუნე რუსეთი აღავლენს ლოცვას უფლისა მიმართ და შესთხოვს განუსვენოს სულსა უდროოდ გადაცვალებულის მეფის ალექსანდრესა და მეუღლისა მისისა და ამასთანავე ევედრება უზენაესს მეუფეს, მოავლინოს კურთხევა მეფის პეტრეს შრომასა ზედა სერბიის ხალხის საკეთილოდ და საბედნიეროდ.“

სლავიანსკი. სამთო სატეხნიკო ინსტიტუტისათვის უსასყიდლოდ დაეთმო მიწა საერო განათლების სამინისტროს.

პარიზი. თავად ყარაგიორგიევიჩის სერბიის მეფედ არჩევა დიდის თანაგრძნობით მიიღეს აქაურ პოლიტიკურ სფერაში და პრესსაში.

ბელგრადი. საერო კრების დეპუტაცია ჟენევაში წავიდა აქტის გადასაცემლად. დეპუტატთა რიცხვში ორი პრეზიდენტია: საერო კრებისა და სენატისა; ერთი ვიცე-პრეზიდენტია, სამი სენატორი და 18 დეპუტატი. სერბიის მხედრობამ ფიცი მისცა მეფე-მთავარ-სარდალს პეტრეს. საერო კრებამ 9-მ დეპუტატი აირჩია კონსტიტუციის გადასასინჯად. სერბიაში ყოველგან მოლოცვის დეპეშები მოგვდის მეფის ამორჩევის გამო.

ბერლინი. არჩევნების შედეგი გამოირკვა. 374 ოლქიდან უნდა მოხდეს 172-ში ხელმეორედ არჩევანი. არჩეულ იქმნენ: 29 კონსერვატორი, 82 ცენტრის პარტიისა, 14 პოლონელი, 5 მთავრობის მომხრე, 53 სოციალ-დემოკრატი, 5 არც ერთი პარტიის მომხრე, 6 ელზასელი, 5 ნაციონალ-ლიბერალი, 1 დანიის პარტიისა და 2 გლეხთა კავშირისა; ხელ-მეორედ არჩევნების შედეგი: 36 კონსერვატორი, 117 სოციალ-დემოკრატი, 24 თავისუფალ მოაზრე, 62 ნაციონალ-ლიბერალი, 11 თავისუფალი მოაზრე, 4 ელზასელი, 8 პოლონელი, 12 მთავრობის პარტიისა, 4 ანტისემიტი, 31 ცენტრისა, 8 არცერთი პარტიის მომხრე, 5 გლეხთა კავშირიდან, 8 გერმანიის სახალხო პარტიისა, 8 ველფი და 6 რეფორმატა პარტიისა.

ბოგოტა. რადგანაც არეკიაში შავი ჭირით რამდენიმე კაცი გახდა ავად, დააწესეს კარანტინი პანამაში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

[illegible] ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 2 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,32$^1/_2$
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,57$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^3/_8$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 $^7/_8$ მყიდვ.
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	95$^1/_8$ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	435$^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	334 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	284$^1/_2$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90$^1/_4$ „
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91$^3/_4$ „
4$^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	100$^1/_8$ მყიდ. (?)
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91$^1/_2$ „ (?)
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშზაბალოით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტერ-ოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი გდიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი თვეში დღის 12 მან. გამგე ექიმი ისაასტნოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლოუსტისა.

განცხადებანი

დაბა ახალ-სენაკში

23-დან 29 ივნისამდე

გაიმართება იარმუკა,

რომელზედაც გაიყიდება სასოფლო ნაწარმოები, ცხენები, საქონელი და შინა მრეწველობის ადგილობრივი ნაწარმოები, ხოლო 29 ივნისს გაიმართება კავკასიელ ჯიშის ცხენების დოღი. მანძილი 7 ვერსი იქმნება. დარიგდება 100 მანეთის საჩუქრები.

(3—1) **სენაკის მაზრის უფროსი**

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 10 ივნისს 12 საათზე, **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა აფიშის გასაკვრელი სამი ბოძი, მოწყობილი ვაჭრობისათვის.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (2—6.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—63)

გორში

ისყიდება ვენახი

ზომით 462 კვადრატული საჟენი. ვენახში შენობაც არის. ვენახს აქვს ბანკის ვალი. პირობების შეტყობა შეიძლება გორში პაპიტოვთან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და ტფილისში წყნეთის ქუჩაზე № 3. (2—1).

ქ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩაზე გოგოლაშვილის შენობაში

ტარიელ დიმიტრის ძე

გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელი ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (10—6)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და პირის მოსაპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელსაპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

☞ ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. 100—37.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Іюня, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)